



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 1

ქ. გარდაბანი

26/01/2022

1-06-4-202201261803



## გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 24 იანვრის №18-1822024173 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

#### მუხლი 1

- ა. დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო უძრავი ობიექტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად;
- ბ. დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო მოძრავი ობიექტების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის №65 განკარგულება.

#### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.  
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

